

# კატილუოზილური

## მიზნით



„ჩვენ ამერიკელები ვართ, მოსკოვის საერთაშორისო მარათონისა და ათკილომეტრიანი გარბენების მონაწილეები... როგორც მორბენალთა საერთაშორისო კლუბის წევრებს, ჩვენ გვსურს მსოფლიოს ავაცილოთ შიმშილი. ჩვენ მოგვუყვებს თქვენს ქვეყანაში კეთილი ნება, მეგობრობა და თანამშრომლობა, გვინდა ყველა ხალხმა იცხოვროს თანხმობითა და ღირსებით.“

ეს სიტყვები ეწერა ამერიკელთა ალისფერ სავიზიტო ბარათებზე, რომლებსაც ისინი სასტუმრო „აქარის“ წინ ხალისით ურიგებდნენ გამვლელთ, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ჩვენი სტუმრები, ისევე როგორც მასპინძლები, ერთობლივი გარბენისთვის ემზადებოდნენ.

რამდენიმე წელიწადია მსოფლიო

ორგანიზაციაში მშველდობისათვის შიმშილის გარეშე ცალკე ორგანიზაცია ჩამოყალიბდა: „მორბენლები მშვიდობისთვის — შიმშილის გარეშე“. მისი წევრები, (მათი რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აწყობენ საავიჯიციო გარბენებს, რათა ხალხის ყურადღება მიიპყრონ იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისათვის იბრძვიან.

— „მსოფლიოში იმდენი პრობლემაა, თანაბრად რომ განაწილდეს, ყველას ეყოფას და მიიჩნეს, არსებობს შიმშილი და არსებობს დაძაბულობა“ — ითქვა ამერიკელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დენ ღრუმმა.

**პროლეტარკო ვაჟა ჯავახიძე, შპარტილი!**

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზაცია**

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ФУЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ И СПОРТА И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

**20** აპრილი, ხუთშაბათი, 1987 წ. № 161 (9572) • შპნი 8 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

**„სოვეტსკი სპორტის“ უარცლავა**  
(18 აპრილი)

სპორტული მოხმარების საგნები კვლავ დეფიციტს წარმოადგენს. სწორედ ამ საკითხს ეხება წერილი „დეფიციტის ბაზრობა“. მასში ვკითხულობთ:

„ზოგიერთი რესპუბლიკა და ოლქი იმედს მთლიანად ცენტრიდან მოწოდებულ საქონელზე ამყარებს და არც კი ცდილობს შინაგანი რეზერვების მოძიებას. ასე, მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოთ საკავშირო საგემო კომიტეტში წარედგინათ გეგმები, რომელიც ითვალისწინებდა 1987-1990 წლებში სპორტული და ტურისტული დანიშნულების საგნების წარმოების გაზრდას, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებას, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში მათი რეკონსტრუქციისა და თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვის ხარჯზე. ეს დროულად გააკეთეს ბელარუსის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ლიტვისა და თურქმენეთის რესპუბლიკების საგემო კომიტეტებმა. უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, მოლდავეთის, სომხეთის და ესტონეთის მინისტრთა საბჭოების საგემო კომიტეტებმა კი თავიანთ გეგმებში მხოლოდ გაიმეორეს დადგენილებით გათვალისწინებული დავალებები“.

**2 სამტედიას** ლენინგრადში სტარტს აიღებს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო ესტაფეტა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის თარიღს ემდგინება.

ესტაფეტის ჩირაღდანია, რომელიც მარსის მოედანზე, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე აინთება, დაიწყებს მოგზაურობას, მარშრუტი კი მართლაც საინტერესოა: ლენინგრადი-ტალინი-რიგა-ვილნიუსი-მოსკო-ბრესტი-ვარშავა-ბერლინი-პრად-ბუდაპეშტი-ბუჟარესტი-სოფია-ვარნა. მერე ესტაფეტა ზღვის ბოროთი ოდესში გადვა, აქედან კი დაიწყება დასკვნითი ეტაპი — ხარკოვი, ბელგოროდი, კურსკი, თიროლი,

**ესტაფეტის ბრძალი პარკუტი**

ტულა და მოსკოვი.

ეს გრძელი გზა მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე საბატო წრით დამთავრდება, მერე კი ესტაფეტის მონაწილენი გაემართებიან ოქტომბრის მოედანზე მდებარე ლენინის ძეგლისკენ და უცნობი ჯარისკაცის საფლავისკენ, სულ მარშრუტის გაგლას სამ კვირაზე მეტი დრო დასჭირდება. დაიწყება იგი, როგორც ზემოთ უთქვით, 2 სექტემბერს და დამთავრდება 25 სექტემბერს.

საერთაშორისო ესტაფეტის ჩასატარებლად შეიქმნა სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სსრ კავშირის სპორტსახელოსანთა თანამშრომლის პირველი მოადგილე ნ. რუსაკი ხელმძღვანელობს.

სსრ უნებართლო კომპაზისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროკურატორის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროკურატორის დახმარებით

**ქირითადი მიმართულებანი**

**განვიხილავთ!**

**ფიზკულტურა და ჯანმრთელობა**

თითოეული ადამიანი უნდა ზრუნავდეს საკუთარ ჯანმრთელობაზე. ეს მხოლოდ სურვილი როდია, ჩვენს ქვეყანაში არსებობს სრული სოციალური საფუძვლები, რათა ადამიანმა გაიკეთოს ორგანიზმი, იყოს ჯანმრთელი, იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრებით. 30 წელიწადია მედიცინას და სპორტს ვემსახურებო. ბევრჯერ მიფიქრია მედიცინისა და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ინტერესების გაერთიანებაზე, და აი, პრესაში გამოქვეყნდა სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეტორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესახებ“.

სიმართლე გითხრათ, ვერ წარ-

მომედგინა თუ ასე თამაშად, ასე ყოვლისმომცველად და მისწრაბურად დადგებოდა დღის წესრიგში ეს საკითხი. ფიზკულტურასა და სპორტს მოსახლეობის ჯანმრთელობის კომპლექსურ ღონისძიებების პროექტში თვალსაჩინო ადგილი უკავია, ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს. ყველაზე უფრო წამალი ხომ მოძრაობაა.

მაქვს ერთი კონკრეტული წინადადება. პროექტში (თავი III), სადაც ლაბარაჟია კადრების მომზადებაზე, აღზრდაზე და მათი შრომის ორგანიზაციაზე, შეტანილ იქნეს სამედიცინო ინსტიტუტებში სპორტული და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმების მომზადების საკითხი. ეს ძალზე აუცილებელია.

**ბოზა თაოლაძე,** თანამედროვე ხუთწლედისა და ცხენოსნობისა საქართველოს ნაკრები გუნდების ექიმი.



**პარკი ძველ რაიონებში**

**სურნელაბას დაიბრუნებს**

**ძველი** თბილისელებისთვის ვერის პარკი ზაფხულობით ქალაქის ხვატს გარდებულთა სულს მოსათქმელი ადგილი იყო, ორმოცდაათიანი წლების თაობის წარმომადგენლებსათვის კი იგი უშუალოდ კალათბურთის უკავშირდება. ალბათ, ბევრს ახსოვს, როგორც პარკის მცირე და სარბიელი, ხის ტრიბუნები და ძია გაბოს მიერ სათუთად მოვლილი აგურმოყრილი მოედანი. ეს იყო ჩვენი სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულთა თავშესაფარი ადგილი, სწორედ აქ ებ-

მებოდნენ მძაფრ ორთაბრძოლებში ქალაქისა და რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. ძველ სარბიელს ახსოვს ი. ლოსოვის, ი. კულამის, ს. ბურტუჩაის, რ. სერციავიჩისა და სხვა ომისმემდგომი საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავთა გამოსვლები საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში...

**„ტყავის გურთის“ პრიზმა**

**გუნდი, 19 აგვისტოს, გაიმართა** „ტყავის გურთის“ კლუბის პრიზმის გათამაშების შესახებ ტური. უილი მჭონის გუნდმა ფრედ — 1:1 ითამაშა რსფსრ-ის მე-2 გუნდთან. თბილისის 170-ე სკოლის გუნდს კი ანგარიშით 0:3 დამარცხდა რსფსრ-ის შესაბამე კოლექტივთან.

დღეს გაიმართება მეოთხე ტურის შეხვედრები:



- ბ. დიმიტროვის სახ. სტადიონი**
- 10.00 უკრაინა-2 — რსფსრ-2.
  - 12.00 მოსკოვი — რსფსრ-5
  - 18.00 საქართველო — თურქმენეთი
- „ლოკომოტივის“ სტადიონი**
- 10.00 რსფსრ-3 — სომხეთი
  - 12.00 მოლდავეთი — ესტონეთი
- მაულ-კავშირის სტადიონი**
- 10.00 უზბეკეთი — უკრაინა-1
  - 12.00 ლენინგრადი — რსფსრ-4
  - 18.00 ლიტვა — მოსკოვის ოლქი
- რუსთავის „მებალუჩის“ სტადიონი**
- 10.00 ყაზახეთი — რსფსრ-1
  - 12.00 ტაჯიკეთი — ბელარუსია
  - 18.00 ლიტვა — აზერბაიჯანი

**მედიცინა-კიოსკი**

**გარანაბი.** რამდენიმე დღის წინ აქ გაიმართა იუნორ „კლასიკოსთა“ მსოფლიო ჩემპიონატი. ახლა ტურნირი თავისუფალი სტილის მოჭიდველებს დაამთავრეს. საბჭოთა ათლეტებს ექვსი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ზედათ. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ცნობილი ფალანის ალექსანდრე მედვედის ვაჟმა ალექსიმმა. 19 წლის მოჭიდვემ მძიმე წონაში პირველი ადგილი დაიკავა. ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე გნელ მეჭლუმიანი (ერვენი), პარხუდინ ზალიმეკოვი (მახაჩკალა), ალექსანდრე სავო (გროდნო), მაჰმედ გატაგაჯიევი (გროზნო) და ალექსანდრე საბევი (მინსკი).



სსრ კავშირის

ჩემპიონატი



გთავაზობთ სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის შეხვედრათა ტექნიკურ მონაცემებს.

„მეტალისტი“ — „ჭიკობა“ 1:0 (1:0). სტუმართა კარში ბურთი მალაშენკომ გაიტანა მე-3 წუთზე. გააფრთხილეს „ჭიკობის“ ფეხბურთელი ფეხლევიანი. დუბლიორები — 1:1.

„არარატი“ — „დნეპრი“ 2:1 (1:0). გოლები: მხითარაძე, პოლოსინი („არარატი“), სტორჩიკი („დნეპრი“). დუბლიორები — 0:2.

„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 1:0 (1:0). გოლი: სულეიმანოვი. დუბლიორები — 3:1.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (2:0). გოლები: როდინოვი, მოსტოვი („სპარტაკი“), კონდრატიევი („დინამო“). დუბლიორები — 4:0.

„უალაგირისი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). ერთადერთი ბურთი 64-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა პანკრატიევი. გააფრთხილეს კიევიელი ფეხბურთელი გორილი და ბალანა. დუბლიორები — 0:0.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:1). გოლი მე-3 წუთზე გაიტანა მოსკოველმა ვასილიშვიმ. დუბლიორები — 1:1.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინ არიან ა. ნარბეკოვსი („უალაგირისი“) და ა. პრატასოვი („დნეპრი“), თითოეულმა მათგანმა 10-10 ბურთი გაიტანა. 9 ბურთი აქვს გატანილი სპარტაკელ ფ. ჩერენკოვს.

მეტრები დაუმარცხებლად იბრძვიან ვილნიუსის „უალაგირისი“ და ბაქოს „ნეფთჩი“, „უალაგირისი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც წლეულს თავის მინდორზე ჯერ არ წაუგია პირველობის არც ერთი თამაში.

მიმდინარე ჩემპიონატში დღემდე 44 პენალტი დაინიშნა. აქედან 39 პენალტი მასპინძელთა, ხოლო ხუთი — სტუმართა სასარგებლოდ.

მიმდინარე, XXI ტურში საქართველოს გუნდები სტუმრად გამოდიან. 20 აგვისტოს თბილისის „დინამო“ დნეპრს შეხვდება „შახტიორს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ დნეპროპეტროვსკში ითამაშებს „დნეპრთან“.

ბათუმის ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Lists teams like Dnepri, Spartak, etc.

ფანჯურები

1988 წლის მისი ესპანეთის ქალაქებში გაიმართება ნორჩ ფეხბურთელთა უფასო ტურნირი კონტინენტის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. მასში გამოვლენ 1971 წლის 1 აგვისტოს შემდეგ და 1972 წელს დაბადებული ფეხბურთელები. შეჯიბრებაში გამოვა სსრ კავშირის ნაკრები (მწვრთნელები: გ. კოსტილევსკი და ა. კუზნეცოვი), რომელმაც 16 ფინალისტს შორის მოსახვედრად ორი შესარჩევი მატჩი უნდა გამართოს იუგოსლავიის გუნდთან. ჩვენი ნაკრები ახლა ინტენსიურად ემზადება ამ შეჯიბრებისათვის, უახლოეს ხანებში შედგება საკონტროლო მატჩი პოლონეთის თანატოლ ფეხბურთელებთან, სეკტემბერში კი ბელარუსელებთან: ორივე შეხვედრა სტუმრად ჩატარდება. უკვე გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენმა ნორჩმა ფეხბურთელებმა უნგრეთში გამართულ ტრადიციულ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა („ოქროს თავაჯი“), სლავ დამარცხეს გდრის (2:0), იუგოსლავიის (3:0) გუნდები და ფრედ (0:0) ითამაშეს უნგრელებთან, მატჩის შემდგომი 11-მეტრიანებით კი მარცხი განიცადეს. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდის თბილისის „დინამოს“ სპეციალისტები სპორტსკოლის აღსაზრდელი თ. დემეტრაშვილი.

ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 27-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „ბაშირი“ (დუშანბე) 3:1 (1:0). ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 18 აგვისტო.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, მენაბდე (ანდრუშაძე), დურდიანი, ჩიქოვანი, ზედანი, კაკალიაშვილი (მაჭუტაძე), ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე (ქობულაშვილი), ნასურაძე.

„ბაშირი“: მანანიკოვი, ომელიანენკო, ვოლოგოდეცო, მუხამადიევი (კამალეტდინოვი), რახიმოვი, ერმოლაევი, დოლგანოვი (ბატურენკო), ფუზაილოვი, აზიმოვი, მანასაანი, იბადულაევი (ტურსუნოვი). მსაჯი ა. დეგტარევი (ოდესა). გააფრთხილეს ანდრუშაძე.

ბათუმში მთელი დღე კოკისპირულად წვიმა, ძნელ სათამაშო პირობებში დინამოელებმა მეტოქეზე მეტი მიზნობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს. 22-ე წუთზე კიკლიაშვილის უხეშად წაქვეციანათვის დანიშნული საჯარიმო კარგად გამოიყენა ბარათაშვილმა და ძლიერი შორეული დარტყმით ბურთი სტუმრების კარში გაგზავნა — 1:0.

შესვენების შემდეგაც რინციატევის კვლავ ბათუმელები ფლობდნენ, ბარათაშვილი 59-ე წუთზე კარგად გამოიყენა მასპინძლის მიერ მოწოდებული კუთხური და მეკარე მანანიკოვს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი — 2:0, 84-ე წუთზე კი ზედანიმ მარჯვენა ფლანგიდან მეტად ეფექტური გოლი გაიტანა მეტოქის კარში — 3:0. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო რახიმოვი ერთი საბასუბო ბურთის გატანა.

ითარ შორხანძამ,

(ტელეფონით „ლელოს“ კორ.)

„ტორპედო“ (ჭუთაინი) — „შახტიორი“ (ბაშკანტი) 0:1 (0:0). ჭუთაინი. ცენტრალური სტადიონი. 18 აგვისტო.

ბანგლილი შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის.

„კოლხეთი“ (ხობი) — „იმერეთი“ (ჭუთაინი) 3:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ლატარია, შილოშვილი, ჩიმიაკაძე („კოლხეთი“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამგურელი“ (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი გ. ჭელიძე (თბილისი). გოლი: ქობალა („ამირანი“).

„ვერისი“ (ცხაკაია) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2. მსაჯი შ. ხანაშვილი (თბილისი). გოლები: ალანია, ჩიქოვაძე („ვერისი“), ტუაივი, ხუბეიშვილი („სპარტაკი“).

„დინამო“ (ჭუგთაინი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მსაჯი დ. მენაშენი (თბილისი). გოლები: ტიბუა („დინამო“), მინდიაშვილი („დურუჯი“).

„სულორი“ (ვანი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:0. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლი: დვალისვილი („სულორი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვანიელი. ნეფრთიძე, ხოლო უხეში თამაშისთვის — წყალტუბოელი დ. ონიანი.

„ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (წესტაფონი) 1:0. მსაჯი თ.

„ტორპედო“: მიქაძე, პაპავა, თევზაძე, ჭელიძე, ფრუიძე, შიქაძე, ბიგვაძე, ციკარიშვილი (ხუნდაძე), გოგრიძიანი, ხარაბაძე, გობელიძე.

„შახტიორი“: კურბიკო, კოვხოვი, ნარტაიევი, კოუხოვი, დენისოვი, პოსტოვი, ბონდარენკო, დორონჩენკო (პასიშვიტი), სინელოზოვი, აბდურაიმოვი (რაშაბატოვი), კაბაევი.

მსაჯი ვ. ზვიგინცევი (დონეცკი). გააფრთხილეს დორონჩენკო. ჭუთაინის „ტორპედოს“ გულშემატკივრებს აღარც ახსოვთ უკანასკნელად როდის გაიმარჯვა მათმა გუნდმა საკავშირო გათამაშებაში... ალბათ, ეს დიდი ხნის წინათ იყო, ახლა კი ტორპედოელები მარცხდებიან სტუმრადაც. მარცხდებიან შინაც და თუ ეს მომავალშიც ასე გაგრძელდა, საქმე კატასტროფამდე მივა. ცხადია, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, კოლექტივის თითოეულმა წევრმა უფროსი მწვრთნელიდან დაწყებული სათადარიგო მთამამდე სრული რეალობით უნდა შეიგრძნოს შექმნილი მდგომარეობის სირთული, გუნდს უკან წახვეტი გზა არა აქვს, საკუთრივ უნდა შეიძინოს სპორტული და შესაძლებლობანი მათ ჯერ კიდევ აქვთ.

რა გვიჩვენებს ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში? ბევრი ვერაფერი, მთელი თამაშის განმავლობაში ისინი უსისტიემოდ იცავდნენ თავს, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი „ტორპედომ“ ვერაფერს მიაღწია, პირველ ტაშკენტში „ფახთაქორის“ კართან ერთდერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, როცა გოგრიძიანმა შორიდან დაარტყა საჯარიმო, მაგრამ კურბიკომ შეძლო ბურთის მოგერიება. მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ სასიფთო შეტევა, ტაშკენტელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს ხარაბაძის წინააღმდეგ, მაგრამ ვ. ზვიგინცევიმ საჭიროდ არ მიიჩნია 11-მეტრიანის დანიშვნა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ტორპედოელები უტრევენდნენ, ტაშკენტელებმა კონტრიე-

რიში განავითარეს და წარმატებასაც მიაღწიეს, კაბაევის გოლმა მათ სასურველი 2 ქული მოუტანა. ახლა ჭუთაინის „ტორპედო“ 21 აგვისტოს მატჩის იმედითაა. ამ დღეს იგი შინ ლეგულობს დუშანბეს „ამირს“, დუშანბელებმა კი როგორც იცით, ბათუმში წააგეს თამაში.

ბათუმის ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Lists teams like Dnepri, Spartak, etc.


ბათუმის ცხრილი: „როსტელმაში“ (დონის როსტოვი) — „ჩერნომორცი“ (ოდესა) 1:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — ასკ „კარპატი“ (ლევი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1, „სპარტაკი“ (ორკინიკი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ოლომოტივი“ (მოსკოვი) 1:2, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „კუზნეცისი“ (კემეროვი) 1:2, „კოლხოსი“ (ნიკოპოლი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუბინევი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 3:1.

ბათუმის ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Lists teams like Dnepri, Spartak, etc.

ბათუმის ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Lists teams like Dnepri, Spartak, etc.



სსრ კავშირის ჩემპიონატი. სსრ კავშირის საფეხბურთო თამაშის გათამაშებაში, როგორც იცით, გაიმართა რამდენიმე მეოთხედფინალური შეხვედრა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩასატარებელია სხვა მატჩებიც, რომლებიც თასის ამ ეტაპის მონაწილეებს გამოაგონებს. კერძოდ, მერაფდინის ორი შეხვედრა აქვე ერთმანეთთან ჩასატარებელი ვილნიუსის „უალაგირისი“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“, ეს მატჩები გაიმართება 29 სექტემბერს და 20 ოქტომბერს. ჯერ კიდევ დადგინდეს არ არის კიევის „დინამოს“ და ვოლგოგრადის „როტორის“ შეხვედრათა თარიღები.

თასის მეოთხედფინალში მეტოქეები ასე დაწვევდნენ:

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „უალაგირისი“ და „ფახთაქორს“ შორის გამარჯვებული.

„მეტალისტი“ (ხარკოვი) — კიევის „დინამოსა“ და ვოლგოგრადის „როტორს“ შორის გამარჯვებული.

კალკონი

თავაზობენ ფანჯურებს

ცნობილია, რომ უკვე კარგა ხანია ქალები ფეხბურთის თამაშობენ, იმართება სხვადასხვა ქვეყნის პირველობები, ევროპის ჩემპიონატები. ჩვენშიც — თბილისში, ფოთში და სხვაგან მასურებელი ინტერესი აღდგენს თავს თუ როგორ დასდევნენ გოგონები ჭრელ ბურთს, გვასხოვს, რამდენიმე ათეული ათასი გულშემატკივარი რომ დაესწრო შევეციის ფეხბურთელ ქალთა მატჩს თბილისის „დინამოს“ მთავარ სტადიონზე.

21 აგვისტოს მოლდავეთის დედაქალაქში იწყება ფეხბურთელ ქალთა საინტერესო საკავშირო ტურნირი, მასში მონაწილეობის სურველი მრავალმა გუნდმა გამოთქვა, მაგრამ პირველი საკავშირო ტურნირის ორგანიზატორები ჯერჯერობით შემოიფარგლნენ მხოლოდ რამდენიმე გუნდით.

კიშინიოვის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის და მოსკოვის ოქტის ფიზკულტურის ინსტიტუტის - გუნდები. თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის, ტირასპოლის, კავკასიის პროტექტორი სასწავლებლების, რამენსკოვს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატ „კრასნოე ზნამო“, ვ. ი. კონინის სახელობის ზღაბოუსტის მანქანათმშენებელი ქარხნისა და ჩემპიონის ელექტროაპარატურის ქარხნის ფეხბურთელები.

ტურნირში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გზით „კომსომოლსკია პრადის“ დამატება „სობესენის“ პრიზი.

244 მატჩი, 625 გოლი

როგორც უფასო-სამდივნოს მიერ ციურისში გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, სამი პოპულარული საერთაშორისო ტურნირის — ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უფასო-თასების 1986-87 წლების გათამაშებაში სულ 244 მატჩი გაიმართა და 625 გოლი გავიდა. ყველაზე მეტი — 8 ბურთი — გაიტანა „აიაქსის“ (ამსტერდამი) თვადამსხმელმა ბოსმანმა, 7 — ცვეტკოვიჩმა („კრევენა ზეზუდა“), 6 — ვან ბასტენმა („აიაქსი“).



# გურამ ბელახური — ნაკრების ლეგიონერი



გურამ ბელახური დაიწყო კლასიკური სტილით მოჭიდვით მსოფლიო ჩემპიონატი. აღნიშნული, ანალოგიური ტურნირებში, ნაკრების ხელმძღვანელობა მოჭიდვით სხვადასხვა გარემოში ცდიდა ხოლმე, მაგრამ წლები ანდული ასპარეზობა განსაკუთრებულია. იგი ოლიმპიური თამაშების წინა წელს ტარდება, არადა ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიურ რეგლამენტში არსებითი ცვლილებები შეიტანა და ჩვენს მწვრთნელებს მათი გათვალისწინება უხდება.

საქმე ისაა, რომ ამერიკიდან ოლიმპიურ ასპარეზობაში ყოველ წინაში თერაპეტი მონაწილე უნდა გამოვიდეს. 10 მთავანი ოლიმპიადის წინა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების საფუძველზე შეირჩევა, სამი — ევროპის ჩემპიონატის შედეგებით, დანარჩენ ხუთ ადგილს სხვა კონტინენტურ ჩემპიონატებში გამარჯვებული მოჭიდვეები დაიკავებენ. ამასთან, ისევე როგორც წინა, ყოველ ქვეყანას თითო ათლეტის გამოყვანა შეეძლება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლერ-მონ-ფერანში თავს მოიყრიან მოჭიდვეები, რომლებიც ოლიმპიურ

თამაშებში მონაწილეობას აპირებენ. აი, სწორედ ასეთი მწვრთნელი კურენციის მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირმა ორი ლეგიონერი მიაგვლინა. ერთი მათგანია ჩვენი თანამემამულე, სპორტიკალი გ. გედეხური, რომელიც ნაკრების ღირსებას 100 კგ წონით კატეგორიაში დაიცავს (გედეხურმა წლებადელ საკავშირო ჩემპიონატში მეორე საბრისო ადგილი დაიკავა), მეორე კი 52 კგ წონით კატეგორიის წარმომადგენელი, სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული, ოსკელი ა. იგნატენკო.

გუნდის დანარჩენი წევრები გამოცდილი მოჭიდვეები არიან, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები: მ. ალხვირდია (48 კგ, ბაქო), ტ. კალიშვილი (57 კგ, მინსკი), ა. აბაიძე (68 კგ, გროზნო), დ. ტურლიანი (74 კგ, ალმა-ათა), ს. ნოსვიჩი (82 კგ, როსტოვი), სხვათა შორის ამ უკანასკნელმა მსოფლიოს სამედიცინო ჩემპიონი, ტრავმირებული მ. მაიაშვილი შეცვალა. 90 კგ წონით კატეგორიაში ნაკრების ღირსებას იცავს გ. პოპოვი (ომსკი), მძიმე წონაში კი ყარაგანდელი ი. როსტროვსკი.

# პირველი ჯილდოები

მკრამის ჩემპიონატის პირველი ჯილდო მდელი სტრასბურგში (საფრანგეთი) 3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში მსტომელმა ქალებმა გაითამაშეს. ჯილდო პოლანდიელმა დაფინე იონგეინსმა მიიღო — 525,78 ქულა. მოსკოველ მარინა ბაბკოვას წილად ზედა გერცხლის მედალი — 518,88 ქულა.

მეორე საპატიო ტიტული ამ სახეობაში ეკუთვნის გაითამაშეს. აქ ჩემპიონი გახდა გერმანიის წარმომადგენელი ალბინ კილატი — 647,25 ქულა, საბჭოთა სპორტსმენთა, შორის საუკეთესო მანევენები — ბრინჯაოს წილად ალექსანდრე გლადინკოს აღმოაჩინა — 621,60 ქულა. ვალერი გონჩაროვი კი მხოლოდ VII ადგილზე გავიდა.

მოჭიდვეებმა გაითამაშეს მედილის პირველი კამპლეტი. გთავაზობთ გამარჯვებულითა გვარებს. ქალები. 100 მ. თავისუფალი სტილი — კრისტინ ტოტო (გერმ) — 55,38; 400 მ. კომპლექსური — ნოემი ლუნგი (რუმინეთი) — 4.40,21; ესტაფეტა 4X200 თავისუფალი სტილით. გერ (მანუელა შტელმახი, ასტრიდ შტრაუსი, ანკე მერინგი, პაიკე ფრიდრიხი) — 7.55,47. ვაჟები. 100 მ. ბრასი — ადრიან მურკაუზი (დიდი ბრიტანეთი) —

1.02,13 (ევროპის რეკორდი); 200 მ. თავისუფალი (ტილორ) — 35,60; 300 მ. თავისუფალი (შევიკა) — 1.48,44.

ორი დღის შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა მოჭიდვეები ორი გერმანიისა და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვე.

წყალბურთულთა ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, იტალიის გუნდი დაამარცხა — 12:10. მეორე ტურის სხვა მატჩებში ასე დამთავრდა: გერმანია-ბრიტანეთი 12:8, იუგოსლავია-ბულგარეთი 10:2, უნგრეთი-ესპანეთი 7:5. ორი კალენდრული დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და გერმანიის წყალბურთელებს 4-4 ქულა ჰქონდათ.

შესამე ტურში ერთმანეთს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები სსრ კავშირისა და გერმანიის გუნდები შეხვდნენ. ეს დაძაბული ბრძოლა ჩვენმა წყალბურთელებმა ერთი ბურთის უპირატესობით მოიგეს — 11:10 (2:1, 3:3, 4:2, 2:4). დანარჩენი შეხვედრების შედეგები: იუგოსლავია-ესპანეთი 8:6, იტალია-უნგრეთი 11:9, რუმინეთი-ბულგარეთი 8:3.



# რეპანში მემკვიდრეები

დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში. ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ცენტრალური მატჩი მოსკოვისა და თბილისის თანაკლებულთა შორის. რამდენიმე დღის წინ ეს გუნდები ერთმანეთს პირველი წრის მატჩში შეხვდნენ. მაშინ გამარჯვება მოსკოველებმა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 117:93. 24 ქულა საკმაოდ სოლიდური სხვაობა იყო და მოსკოვის გუნდს იგი საბოლოო წარმატების დიდ შანსს აძლევდა.

ეს გარემოება თბილისელთა კალათბურთელებმა, რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს, მაგრამ ჩანაფიქრის განსაზოცილებლად დრო ცოტა ჰქონდათ, ფაქტიურად 20 წუთი, ვინაიდან პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა 6 ქულით დათმო — 50:56. ნამდვილი ბრძოლა ამ შეხვედრაში შესვენების შემდეგ გაჩაღდა და თბილისელებმა ფაქტიურად გამარჯვება ჩაიდინეს, ვინაიდან 6 ქულიანი სხვაობა შეამცირეს და საბოლოოდ მეტოქეს 18 ქულით აჯობეს 110:92. მაგრამ ეს სხვაობა პირველ ადგილზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი მოსკოვის კოლმეტივი გახდა (თბილისელები 11 ადგილზე გავიდნენ).

თუმცა ამჯერად ეს კი არ იყო მთავარი, არმედ ის, რომ თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დერიუგინმა ბოლოს და ბოლოს მისთვის ჰქვეული თამაში აჩვენა. იგი ამ დღეს ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო — 30 ქულა. დარსაძემ თავის კოლმეტივს 27 ქულა შეისძინა (ხუთი სამქულიანი ტყორცვა განახორციელა), კაუტსინმა კი 24 (მე-ისი სამქულიანი სროლა). მოსკოველთა შორის საუკეთესო სწრაფი შიშკოვი იყო — 20 ქულა.

შესამე ადგილი გათამაშებაში ფრუნზეა გუნდმა დაიკავა, რომელმაც ჩელობინის კალათბურთელებმა მეორე შეხვედრაში მოუგო — 99:62 (57:27).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეპანში


# თასის ფელოვალის რანგები

ორიოდე დღის წინათ „მშენებელმა“ საკავშირო თასის გათამაშების ფინალური ტურნირის გამარჯვებულებს, უშუალოდ მატჩში დაამარცხა მონინოს სსა. ცხადია, მწველი იყო ძალების სწრაფად აღდგენა, გუნდის წევრთა საბრძოლო მოტივაცია, ამიტომ, აღმათელთა ძლიერ კოლმეტივთან შეხვედრაში ქუთაისელთა ღირსებას ძირითადად ახალგაზრდა რეგისტრები იცავდნენ, რომლებმაც საკმაოდ კარგად ჩაატარეს ეს მატჩი და ღირსეულადაც გაიმარჯვეს.

პირველ წარმატებას შესაძლებლობა მიიღწიეს. ფრთის სამეოთხედებმა გაბრძინებულ პარკად დაავიკინა თანაგუნდელთა სწრაფი, მრავალსერიანი კომბინაცია და ამ შეხვედრაში პირველი ლილი გაიტანა, ხამაშურიძეს არ გასჭირვებია რეალიზაციის გამოყენება. პირველი ტაიმის ბოლომდე თამაში ვარაუდობა უპირატესობით მიმდინარეობდა. შესვენებამდე სტუმრებმა ისარგებლეს შესაძლებელთა მცველების შეუთანხმებლობით და განიხივნა (ლილი) და მარკოვა (რეალი-

ზაცია) 6 ქულა აიღეს. მეორე ტიმში ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა. მოგესვენებთ, ჩემპიონატის ამ ეტაპზე თითოეული ქულა ძვირად ფასობს. მატჩის ამ მხელ, „საყაიმო პერიოდში“ ქუთაისელებმა იყოჩაღეს — ხამაშურიძემ საკმაოდ შორი ბურთილიდან ძლიერი დარტყმით ბურთი აღმათელთა კარის ძელებს შორის გაატარა. სტუმრებმა სცადეს გარდატეხა შეეცდნენ თამაშში, მაგრამ ახალგაზრდა ქუთაისელი რეგისტრები თავგანწირვით იცავდნენ თავს. მატჩის მიწურულს მშენებლებმა მარჯვება ფრთაზე „მარათი გაშალეს“, და მარაშიმემ ლულოს გატანით დაავიკინა თანაგუნდელთა შეტევა. ამრიგად, ანგარიშით 13:6 გაიმარჯვა „მშენებელმა“ და გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

ამ მატჩში „მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: მარაშიმე, ძიქვინიძე, გაბრძინიძე (გაბიძაშვილი), ურთოლიანი (თლიშარია), ხამაშურიძე, დიქსაძე, ლოსაბერიძე, თხელიძე, ნემსიწვირიძე, ფხაკაძე, გრიგა-



ლაია, გაბუნია, ლიქვინიძე, ფირცხალავა და ტურტაძე. მატჩის სხვადასხვა მოსკოველი არბიტრი მ. არხიბოვი.

## იხილეთ

**მედიცინა.** იუგოსლავიელმა იოზე ტანკომ ვერ დაასრულა სარეკორდო მარათონული გასტურვა კონარდან-ვენეციამდე. 12 საათსა და 5 წუთს წყალში ყოფნის შემდეგ მას თავს დაესხნენ ზვიგენები. 41 წლის სპორტსმენი რის ვაი-ვალახით აიყვანეს მშველ ნავზე.

**ადგილი.** საბჭოთა კავშირის და ავსტრალიის კალათბურთულ ვაჟთა მეორე ამხანაგური მატჩიც ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 116:88 (52:47). საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი შარუნას მარჩიულენისი იყო — 25 ქულა, ავსტრალიის ნაკრებში — არტურ ბონინი — 22 ქულა.

**იუგოსლავიის** ქალაქ ზაგრებში მიმდინარე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირის 13 ტურის შემდეგ მადრიდში ვიქტორ კორჩიო (შვეიცარია) — 8,5 (1), იან ელვესტი, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ისერ სერიკიანი (აშშ) — 8-8, ხულიო გრანდა (პერუ) — 7,5, იოჟეფ ბინტერი (უნგრეთი) — 7.

# რეკორდების წიგნი ტრაქვი

ველოსიპედის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მოსკოვში კრილანტის ოლიმპიურ ტრეკზე კიდევ ამდენივე მსოფლიო რეკორდი დამცხო. განსაკუთრებით საინტერესო და დრამატული გამოდგარეკორდისათვის ბრძოლა 500 მეტრზე გიტში სვლით. ჯერ იყო და ყველა განაცვიფრა ხარკოველმა იური ფედუნმა, რომელმაც დიდი სისწრაფით გადაკვეთა ფინიშის ხაზი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 27,301. ახალგაზრდა ველოსიპედისტი სავანეთ შედეგს არავინ ელოდა. მაგრამ ფედუნის რეკორდმა სულ რამდენიმე წუთს იარსება. იგი თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა გაუუმჯობესა — 27,126. ახალ რეკორდსმენს მილოცვების მიღება არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ინფორმაციის ნიკოლოზ კოვჩის მორიგე წარმატების ამბავი გამოაცხადა. მსოფლიო რეკორდი მესამედ დამცხო, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, სა-

კმაოდ დიდი ხნით — 26,715. გათამაშდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული კილომეტრიან დისტანციაზე წყვილთა გიტში. აქ ოქროს მედლები მოსკოველებმა ნიკოლოზ კოვჩამ და კონსტანტინე ხრამცოვამ დაისაკუთრეს, თანაც მეორე სერიაში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენეს — 1.01,814 (ორი ცდის ჯამში — 2.04,144). ვერცხლის მედლები ველოსპორტის ამ სახეობაში აშხაბადელმა ვლადიმერ სულთანოვმა და სუმელამ ალექსანდრე კირიჩენკომ დაისაკუთრეს — 2.04,440. ბრინჯაოს ჯილდოები წილად ზედათ თბილისელ ოთარ მჭედლიშვილსა და ხარკოველ იური ფედუნს — 2.04,736. მაგრამ რეკორდებზე უტურში ამით არ დამთავრებულა. 200 მეტრე რბოლაში (სვლით) 19 წლის სიმფეროპოლელმა ვეკვანი ტუროვსკიმ 10, 443 აჩვენა და იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

# კეთილშობილური მიზნით

(დასასრულად) სასტუმრო „აჭარის“ წინ სტუმარ-მასპინძლიანად ასამდე მობრუნალი შეგროვდა. მსაჯმა სტარტი მისცა და ინტერნაციონალურმა ჯგუფმა მშვიდობის გამზირზე ვა-ვა-ფშაველას გამზირისკენ აიღო გეზი. მობრუნებულს თან მოჰქონდათ აშშ-ის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დროშები. დროდღრო რომელიმე ამერიკელი ერთად შეგუფეული ხალხის დანახვაზე მობრუნებულს გამოუყვოდდა და ალისფერ სავიზიტო ბარათებს არიგებდა. გარბენი გამარჯვების პარკთან დასრულდა. — „მოსკოვის მარათონში“ მონაწილეობის ჩემდეგ ჩვენ ასეთი გარბენები მოვაწყვეთ იალტასა და ეთეპანში, — თქვა, ამერიკელ მობრუნალთა პრეს-ატაშემ, ჩიკაგოს დრამატული თეატრის დირექტორმა გრეთენ ფასანენმა. — როგორც ჩანს, ჩვენი მოგზაუ-

## პარანა და უთარში...

**ცენტრალური ტელევიზია.** 20 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 9.50 (2); სპორტული პროგრამა: რიტუელი ტანვარჯიში, ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში, ბალახის პოეტი, ფეხბურთი — სსრ კავშირის ჩემპიონატი: „ნენტი“ (ლუნიხარდი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 19.15 (2).

**21 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში — 21.15 (2); მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ტილობოში (გადაცემა საფრანგეთში) — 0.45. (1).

**საპარტიველი ტელევიზია.** 21 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი). 20 აგვისტოს შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — 21.50.

**საპარტიველი რადიო.** 20 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) — 21.00. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) — 22.00.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარათე“ — 93-97-27.

63950 06450 66485

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხებური წიგნით საგზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უ 07110